- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენ მიერ დასკვნის გამოსატანად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგანაც თაღლითობა შეიძლება შეიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის უფლებამოსილების გადამეტებას.

- ვაანალიზებთ და ვაფასებთ ინფორმაციას იმ შიდა კონტროლის შესახებ, რომელიც კავშირშია აუდიტთან, რათა შევიმუშაოთ აუდიტის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება გარემოებებს, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

- ვაფასებთ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას და მენეჯმენტის მიერ წარმოებული სააღრიცხვო შეფასებისა და მასთან დაკავშირებულ გასაჯაროვებული ინფორმაციის მიზანშეწონილობას.

- ვაკეთებთ დასკვნას მენეჯმენტის მიერ ბუღალტრულ აღრიცხვის უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ და მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვადგენთ არის თუ არა არსებითი შეუსაბამობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის შესაძლებლობებზე, გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტობის პრინციპით. იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი შეუსაბამობა, ვალდებულნი ვართ გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში შესაბამის გასაჯაროვებულ მონაცემებზე, ან, თუ ასეთი გამოვლენილი მონაცემები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი მოსაზრებები ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორის ანგარიშის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს ოპერაციების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის გასაჯაროვებულ ინფორმაციას, და ასევე, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს იმგვარად, რითაც მიღწეული იქნება ობიექტური პრეზენტაცია.

ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ შორის, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და დროის, ასევე აუდიტის მნიშვნელოვანი მიგნებების შესახებ, აუდიტორული მოკვლევის დროს შიდა კონტროლში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის ჩათვლით.

აუდიტორის მოსაზრება სხვა სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, 2024 წლის მენეჯმენტის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და 2024 წლის მენეჯმენტის ანგარიში არსებითად მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელსაც ითხოვს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მე-7 მუხლი.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მენეჯმენტის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

კორპორაციული მართვის ორგანოები პასუხისმგებელნი არიან მენეჯმენტის ანგარიშის მომზადების ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა არის გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ მოწოდებულ მმართველობით ანგარიშგებაზე იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა იგი ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შედეგად მიღებულ აუდიტზე, არის:

ეკატერინე კოპალიანი (რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს ბიდიო-ს (BDO)-ს სახელით და დავალებით

თბილისი, საქართველო
28 თებერვალი, 2025

აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შედეგად მიღებულ აუდიტზე, არის:

ეკატერინე კოპალიანი (რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

/ახლავს ხელმოწერა/

შპს ბიდიო-ს (BDO)-ს სახელით და დავალებით

თბილისი, საქართველო
28 თებერვალი, 2025

KÄRCHER LLC

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	19,047,334	14,764,594
გაყიდვების ხარჯი	6	(10,227,447)	(8,204,441)
საერთო მოგება		**8,819,887**	**6,560,153**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,495,648)	(2,460,501)
კომერციული ხარჯები	8	(3,105,772)	(3,562,862)
გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	13	42,143	206,942
სხვა ოპერაციული შემოსავალი		106,068	63,189
ოპერაციული მოგება		**1,366,678**	**806,921**
საპროცენტო ხარჯი	11	(201,591)	(137,878)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, სუფთა	9	(119,379)	(128,171)
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		**1,045,708**	**540,872**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
სულ მთლიანი წლიური შემოსავალი		**1,045,708**	**540,872**

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, 2025 წლის 28 თებერვალს მენეჯმენტის სახელით დაამტკიცა:

დირექტორი /ახლავს ხელმოწერა/ ნიკოლოზ ბათირაშვილი

ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი /ახლავს ხელმოწერა/ ქრისტინე ანთაძე

შენიშვნები 9-38 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

KÄRCHER LLC

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	19,047,334	14,764,594
გაყიდვების ხარჯი	6	(10,227,447)	(8,204,441)
საერთო მოგება		**8,819,887**	**6,560,153**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,495,648)	(2,460,501)
კომერციული ხარჯები	8	(3,105,772)	(3,562,862)
გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	13	42,143	206,942
სხვა ოპერაციული შემოსავალი		106,068	63,189
ოპერაციული მოგება		**1,366,678**	**806,921**
საპროცენტო ხარჯი	11	(201,591)	(137,878)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, სუფთა	9	(119,379)	(128,171)
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		**1,045,708**	**540,872**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
სულ მთლიანი წლიური შემოსავალი		**1,045,708**	**540,872**

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, 2025 წლის 28 თებერვალს მენეჯმენტის სახელით დაამტკიცა:

დირექტორი	/ახლავს ხელმოწერა/	ნიკოლოზ ბათირაშვილი
ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი	/ახლავს ხელმოწერა/	ქრისტინე ანთაძე

შენიშვნები 9-38 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

KÄRCHER LLC

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება და აღჭურვილობა	10	2,133,474	1,858,380
აქტივების გამოყენების უფლება	11	1,930,798	2,345,793
არამატერიალური აქტივები		210,443	31,149
		4,274,715	**4,235,322**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	3,825,560	2,503,437
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,604,430	1,717,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	14	1,200,869	1,640,506
		7,630,859	**5,860,947**
სულ აქტივები		**11,905,574**	**10,096,269**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,173,329	1,173,329
გაუნაწილებელი მოგება		5,548,627	4,502,919
		6,721,956	**5,676,248**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	1,278,410	1,659,224
		1,278,410	**1,659,224**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	889,469	783,156
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	15	3,015,739	1,977,641
		3,905,208	**2,760,797**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**11,905,574**	**10,096,269**

შენიშვნები 9-38 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

KÄRCHER LLC

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	**1,173,329**	**3,962,047**	**5,135,376**
სულ მთლიანი წლიური შემოსავალი	-	540,872	540,872
31 დეკემბერი 2023	**1,173,329**	**4,502,919**	**5,676,248**
სულ მთლიანი წლიური შემოსავალი	-	1,045,708	1,045,708
31 დეკემბერი 2024	**1,173,329**	**5,548,627**	**6,721,956**

შენიშვნები 9-38 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

KÄRCHER LLC

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე		**1,045,708**	**540,872**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		289,106	335,614
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	11	789,204	673,113
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	13	(42,143)	(206,942)
საგარანტიო ანარიცხის ცვლილება		12,884	13,350
საპროცენტო ხარჯი	11	201,591	137,878
საპროცენტო შემოსავალი		(77,941)	(27,690)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		2,386	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების განაწილებისგან		-	(33,292)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, სუფთა	9	119,379	128,171
ფულადი შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		**2,340,174**	**1,561,074**
ოპერაციულ აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე საბრუნავი კაპიტალის მოძრაობა			
მარაგების ზრდა		(1,322,123)	(345,557)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(844,595)	476,943
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ზრდა		1,021,223	1,531,502
ფულადი შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		**1,194,679**	**3,223,962**
გადახდილი პროცენტი	11	(201,591)	(137,878)
წმინდა ფულადი შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		**993,088**	**3,086,084**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ქონებისა და აღჭურვილობის შეძენა		(599,416)	(1,502,399)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(146,464)	(15,606)
მიღებული პროცენტი		77,941	27,690
ფულადი სახსრების წმინდა გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		**(667,939)**	**(1,490,315)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	11	(718,141)	(574,434)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		-	33,292
ფულადი სახსრების წმინდა გასავალი ფინანსური საქმიანობიდან		**(718,141)**	**(541,142)**
ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(392,992)	1,054,627
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	**1,640,506**	**583,847**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	9	(46,645)	2,032
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	**1,200,869**	**1,640,506**

შენიშვნები 9-38 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

Kärcher LLC („კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 404488826 დარეგისტრირდა 2015 წლის 5 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N167.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% მეწილე არის **Kärcher Beteiligungs GmbH**, კომპანია, რომელიც ჯეროვნად რეგისტრირებულია და ოპერირებს გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ ბათირაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს: დასუფთავების სისტემების სფეროში ყველა დასუფთავების მანქანის, აღჭურვილობის, სათადარიგო ნაწილების, აქსესუარებისა და ქიმიური პროდუქტების იმპორტს, ექსპორტს, საბითუმო დისტრიბუციას, გაქირავებას, რემონტს და მომსახურებას.

2. შედგენის საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") გამოცემის შესაბამისად (ერთობლივად ფასს-ები / IFRS).

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ არსებით სააღრიცხვო შეფასებებს. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ განსჯის საფუძველზე შეარჩიოს მაქსიმალურად შესატყვისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების შესახებ. ის ნაწილები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანი განსჯები და შეფასებები ჩატარდა, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. თანხები მრგვალდება ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობას უწყვეტად ეწევა და განაგრძობს ფუნქციონირებას ახლო მომავალში. ხელმძღვანელობა და აქციონერი აპირებენ კიდევ უფრო განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. გარდა ამისა, ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე უწყვეტი საქმიანობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უწყვეტობის პრინციპი შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იქნა გამოყენებული მოცემულია მე-19 შენიშვნაში. ეს პრინციპები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემოღება

ა) სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც სავალდებულო ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან

მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება IAS 7 და ფასს 7-ში). 2023 წლის 25 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები“, რომელმაც შეიტანა შესწორება IAS 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშსა” და ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: გასაჯაროებაში” (ცვლილებები). ეს შესწორებები წარმოიშვა ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (კომიტეტი) მიერ მიღებული წარდგინების შედეგად, რომელიც ეხებოდა ვალდებულებებისა და დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარმოჩენის მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიქმნება მომარაგების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებისა და შესაბამისი გასაჯაროების შედეგად. 2020 წლის დეკემბერში კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ,,მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების ხელშეკრულებები — უკუ-ფაქტორინგი“, რომელიც ეხებოდა ამ წარდგინებას იმ დროისთვის არსებული ფასს-ის საბუღალტრო სტანდარტების საფუძველზე. ამ პროცესში, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულმა გამოხმაურებამ მიუთითა იმდროინდელი მოთხოვნების შეზღუდვებზე, რაც ხელს უშლიდა მომხმარებლებს მიეღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აისახა მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე და შეედარებინათ ერთი საწარმო მეორესთან. ამ გამოხმაურების საპასუხოდ, ბასს-მა

2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

განახორციელა ვიწრო მასშტაბის სტანდარტების ჩამოყალიბება, რამაც გამოიწვია ცვლილებები. ცვლილებები ავალდებულებს კომპანიებს, წარმოადგინონ გარკვეული სპეციფიკური გასაჯაროებები (რაოდენობრივი და თვისობრივი), რომლებიც ეხება მომწოდებლის ფინანსურ შეთანხმებებს. ასევე, ცვლილებები იძლევა მითითებებს მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

იჯარის ვალდებულება გაყიდვა-უკულიზინგში (შესწორება ფასს 16-ში). ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტმა 2020 წლის ივნისში გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება – „გაყიდვა-უკულიზინგი ცვალებადი გადასახადებით“. აღნიშნული საკითხი გადაეცა ბასს-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტების შემუშავებისთვის. ბასს-მა საბოლოო შესწორებები გამოსცა 2022 წლის სექტემბერში. შესწორებები ითვალისწინებს მოთხოვნას, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ განსაზღვროს „იჯარის გადახდები“ ან „იჯარის შესწორებული გადახდები“ ისე, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს მოგების ან ზარალის ის თანხა, რომელიც ეხება მის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებას.

ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე (შესწორება IAS 1-ში). ბასს-მა 2020 წლის იანვარში გამოსცა IAS 1-ის შესწორებები – „ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე“, რასაც შემდგომ ნაწილობრივ დაემატა შესწორებები „არამიმდინარე ვალდებულებები შეთანხმებებით“, რომელიც გამოქვეყნდა 2022 წლის ოქტომბერში. შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოს უფლება, გადაავადოს ვალდებულების შესრულება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, უნდა იყოს რეალური და არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაცია არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სავარაუდოა, რომ საწარმო რეალურად გამოიყენებს ამ უფლებას მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. COVID-19 პანდემიის შედეგად, საბჭომ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ერთი წლით გადადო, და ისინი გავრცელდება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომლებიც იწყება ან შემდეგ 2024 წლის 1 იანვრიდან.

შესწორება – ,,გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით“ (შესწორება IAS 1-ში). მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა შესწორებები IAS 1-ში, რომელიც ეხება ვალდებულებების მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციას, ბასს-მა IAS 1 დამატებით შეასწორა 2022 წლის ოქტომბერში. თუ საწარმოს დაფარვის გადავადების უფლება დამოკიდებულია კონკრეტული პირობების შესრულებაზე, ასეთი პირობები გავლენას ახდენს იმაზე, არსებობს თუ არა ეს უფლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ საწარმოს მოეთხოვება პირობის შესრულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მანამდე, და არა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მოეთხოვება პირობის შესრულება საანგარგებიშო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე განმარტავს „ანგარიშსწორების“ მნიშვნელობას ვალდებულების, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიკაციის მიზნებისთვის.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ არის მოქმედი

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია და სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლის ნაკლებობა (შესწორება ბასს 21-ში). 2023 წლის 15 აგვისტოს, ბასს-მა გამოსცა გაცვლის ნაკლებობა, რომელსაც შესწორება შეაქვს ბასს 21-ში „სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტები“ (შესწორებები). ცვლილებები წარმოიშვა ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (კომიტეტის) მიერ მიღებული წარდგენის შედეგად გაცვლითი კურსის განსაზღვრის შესახებ, როდესაც არსებობს გრძელვადიანი გაცვლის ნაკლებობა. IAS 21, ცვლილებებამდე, არ მოიცავდა ცალსახა მოთხოვნებს გაცვლითი კურსის განსაზღვრისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გადაცვლადი სხვა ვალუტაში, რამაც გამოიწვია მრავალფეროვნება პრაქტიკაში. ამ საკითხის გადასაჭრელად კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია ბასს-ს IAS 21-ში ვიწრო მასშტაბის ცვლილებების შემუშავებაში. შემდგომი განხილვის შემდეგ, ბასს-მა 2021 წლის აპრილში გამოსცა IAS 21-ში შემოთავაზებული ცვლილებების ექსპოზიციის პროექტი და საბოლოო ცვლილებები გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. ცვლილებებს შემოაქვს მოთხოვნები იმის შესაფასებლად, თუ როდის არის ვალუტის გადაცვლადი სხვა ვალუტაში და როდის არა. ცვლილებები ავალდებულებს კომპანიას, შეაფასოს ადგილზე გაცვლითი კურსი, როდესაც ის ასკვნის, რომ ვალუტა სხვა ვალუტაში გადაცვლადია. ცვლილებები მოითხოვს, რომ საწარნინ შეაფასოს სპოტური გაცვლითი კურსი, როდესაც ის დაასკვნის, რომ ვალუტა სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის.

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია და სავალდებულოა 2026 წლის 1 იანვრიდან

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესწორებები (ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებზე, ისევე როგორც ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შემდგომი განხილვისას წარმოშობილ საკითხებზე საპასუხოდ, 2024 წლის მაისში, ბასს-მა გამოსცა ,,ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესწორებები“. შესწორებები ცვლის შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვებით დაფარული ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

► ძირითადი სასესხო შეთანხმების საპროცენტო ელემენტები (მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის შეფასება - 'SPPI ტესტი')

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან ოდენობას

► ფინანსური აქტივები არარეკურსული მახასიათებლებით

► ინვესტიციები სახელშეკრულებო კავშირის მქონე ინსტრუმენტებში

ინფორმაციის გასაჯაროება

► ინვესტიციები სააქციო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით სამართლიან ღირებულებად

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან ოდენობა.

ცვლილებებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ აღრიცხავენ საწარმოები ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტას და როგორ ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. შესწორებები საწარმოს აძლევს უფლებას, ნაადრევად აამოქმედოს მხოლოდ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან და მასთან დაკავშირებულ განმარტებებთან დაკავშირებული ცვლილებები, ხოლო დანარჩენი შესწორებები მოგვიანებით გამოიყენოს. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც სურთ ნაადრევად გამოიყენონ ეს შესწორებები ESG-სთან (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) ან მსგავს მახასიათებლებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ფასს აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები. ყოველწლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც ან განმარტავენ ფასს აღრიცხვის სტანდარტის ფორმულირებას, ან ასწორებენ შედარებით მცირე გაუთვალისწინებელ შედეგებს, უყურადღებობით გამოწვეულ შეცდომებს ან კონფლიქტებს აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებს შორის. შემოთავაზებული გაუმჯობესებები ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი. ყოველწლიური გაუმჯობესებების ეს ციკლი ეხება შემდეგს:

► ჰეჯირების აღრიცხვა პირველად ამთვისებლის მიერ (ფასს 1-ში შესწორებები საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველად მიღებაში)

► სამართლიანი ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის გადავადებული სხვაობის გასაჯაროება (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოს შესწორებები)

► მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას (ფასს 7-ში შესწორებები)

► შესავალი და საკრედიტო რისკის გასაჯაროებები (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოს შესწორებები)

► საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ფასს 9-ში შესწორებები)

► ტრანზაქციის ფასი (ფასს 9-ში შესწორებები)

► „დე ფაქტო აგენტის" განსაზღვრა (ფასს 10-ში შესწორებები)

► თვითღირებულების მეთოდი (ფასს 7-ში შესწორებები).

საბოლოო შესწორებები გამოიცა 2024 წლის ივლისში.

2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ეწოდებოდა ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). 2024 წლის 18 დეკემბერს ბასს-მა გამოსცა შესწორებები კომპანიების მიერ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტების ფინანსური ეფექტების ანგარიშგების გასაუმჯობესებლად, რომლებიც ხშირად ფორმდება როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებები კომპანიებს ეხმარება უზრუნველყონ ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან ელექტროენერგიის მიწოდება. ვინაიდან ამ ხელშეკრულებებით გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული არაკონტროლირებადო ფაქტორების გამო, მიმდინარე სააღრიცხვო მოთხოვნებმა შესაძლოა ადეკვატურად ვერ ასახოს, თუ როგორ მოქმედებს ეს ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობაზე. ამის საპასუხოდ, ბასს-მა შეასრულა მიზნობრივი შესწორებები ფასს 9-ში („ფინანსური ინსტრუმენტები“) და ფასს 7-ში („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები“), რათა გაუმჯობესდეს ამ ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ფინანსურ ანგარიშგებებში. შესწორებები მოიცავს:

► „საკუთარი მოხმარებისთვის“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;

► ჰეჯირების აღრიცხვის დაშვება, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები; და

► ახალი გასაჯაროების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებმა გაიგონ ამ კონტრაქტების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებზე.

ეს შესწორებები ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. შესწორებების ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის შესწორებები გამოყენებამდე უნდა იყოს დამტკიცებული.

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია და სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 „ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენა და განმარტებები“. ფასს 18 „ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენა და განმარტებები“ ცვლის IAS 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“) და სავალდებულოა იმ ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ფასს 18, რომელიც ბასს-მა 2024 წლის 9 აპრილს გამოაქვეყნა, ადგენს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის თაობაზე, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგზე:

► მოგების ან ზარალის ანგარიშგება, მათ შორის, სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის მოთხოვნები. ფასს 18-ს შემოაქვს მოთხოვნა, რომ შემოსავლებისა და ხარჯების პუნქტები კლასიფიცირდეს ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთში მოგებაის ან ზარალის ანგარიშგებაში. ამ კლასიფიკაციის შედეგად წარდგენილია გარკვეული შუალედური ჯამები, მაგალითად, საოპერაციო კატეგორიაში არსებული ყველა შემოსავლისა და ხარჯის ჯამი, რომელიც მოიცავს ახალ სავალდებულო „საოპერაციო მოგების ან ზარალის“ შუალედურ ჯამს.

► ინფორმაციის აგრეგაცია და დეზაგრეგაცია, მათ შორის საერთო პრინციპების შემოღება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის აგრეგაცია და დეზაგრეგაცია ფინანსურ ანგარიშგებებში.

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების მაჩვენებლებთან (MPM) დაკავშირებული განმარტებები, რომლებიც წარმოადგენს ფასს აღრიცხვის სტანდარტებით მოთხოვნილ ჯამზე ან შუალედურ ჯამზე შესრულებულ კორექტირებებზე (მაგ. „კორექტირებული მოგება ან ზარალი“) დაფუძნებულ ფინანსური მაჩვენებლების საზომებს. საწარმოებს მოეთხოვებათ, რომ MPM-ები წარმოადგინონ ფინანსურ ანგარიშგებებში განმარტებებთან ერთად, რაც მოიცავს MPM-ების შეჯერებას ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად გამოთვლილ უახლოეს ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ბასს 18-ის გამოცემით ბასს-ის მიზანია გააუმჯობესოს კომპანიების საქმიანობის ანგარიშგების შედარებადობა და გამჭვირვალობა. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირედი ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 „ფილიალები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები“. 2024 წლის 9 მაისს, ბასს-მა გამოსცა ფასს 19 „ფილიალები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებები“. დაინტერესებულმა მხარეებმა ბასს-ს სთხოვეს, ნება დართოს ფილიალს, რომელიც ანგარიშს უწევს მშობელ კომპანიას (რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იყენებს ფასს სტანდარტებს), გამოიყენოს ფასს სტანდარტები თავის ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებული განმარტებების მოთხოვნებით. ამ უკუკავშირის გათვალისწინებით, ბასს-მა თავის კვლევის გეგმაში დაამატა პროექტი, რათა უზრუნველეყო შემცირებული განმარტებების მოთხოვნები ფილიალებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საჯარო ანგარიშვალდებულება. ამ პროექტის

2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

კულმინაცია გახდა ფასს 19-ის გამოცემა, რომელიც უფლებას აძლევს შესაბამის ფილიალებს, გამოიყენონ შემცირებული განმარტებების მოთხოვნები, ხოლო ამავე დროს გამოიყენონ ფასს სტანდარტებში მოცემული აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები. მაგალითად, ფასს 19-ის მიხედვით, საწარმო, რომელსაც აქვს ტრანზაქციები ფასს 2-ის („წილობრივ გადახდაზე დაფუძნებული გადახდები“) ფარგლებში, არ გამოიყენებს ფასს 2.44-52-ში მოცემულ ვრცელ განმარტებების მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, საწარმო განმარტავს მხოლოდ ფასს 19-ის 31-34-ე პარაგრაფებში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს წილობრივ გადახდაზე დაფუძნებული შეთანხმებების აღწერას, წილობრივი ოფციონების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასებს, თუ როგორ აფასებს საწარმო საკუთარი კაპიტალით ანგარიშსწორებული წილობრივ გადახდაზე დაფუძნებული ტრანზაქციების სამართლიან ღირებულებას და ფასს 2-ის ფარგლებში არსებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ სხვა ზოგად ინფორმაციას. განმარტებების მოთხოვნების შემცირების მასშტაბის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ ფასს 2 ამჟამად შეიცავს 991 სიტყვას განმარტებათა მოთხოვნებში, ხოლო ფასს 19 შეიცავს მხოლოდ 250 სიტყვას, რომლებიც დაკავშირებულია ფასს 2-ის განმარტებებთან. ფასს 19-ის გამოყენების უფლებამოსილების კრიტერიუმებია:

► საწარმო არის შვილობილი კომპანია (როგორც განსაზღვრულია ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების“ დანართ A-ში).

► არ აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება; და

► საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი კომპანია, რომელიც აქვეყნებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და შეესაბამება ფასს აღრიცხვის სტანდარტებს. ორგანიზაციას აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება თუ:

► მისი სესხის ან სააქციო კაპიტალის ინსტრუმენტები ივაჭრება საჯარო ბაზარზე, ან ის ამზადებს ასეთ ინსტრუმენტებს საჯარო ბაზარზე გასატანად; ან

► მისი ძირითადი საქმიანობაა აქტივების ნდობით მართვა გარეშე პირთა ფართო ჯგუფისთვის.

კომპანია ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ მოელის, რომ ბასს-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული, რაიმე არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ანგარიშგების საკვანძო შეფასებები და დასკვნები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს მომავლის შესახებ. შეფასებები და დასკვნები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია არსებულ გარემოებებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ახლავთ მნიშვნელოვანი რისკი, რომ გამოიწვევენ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვან შესწორებას მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში, განხილულია ქვემოთ.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების გადახედვა მიმდინარეობს რეგულარულად. თუ სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე, რომელშიც ცვლილებები მოხდა, მაშინ მათი აღიარება ხდება მხოლოდ ამ პერიოდის შეფასებებში, ხოლო თუ ცვლილებები გავლენას ახდენს როგორც იმ პერიოდზე, რომელშიც მოხდა ცვლილებები, ასევე შემდგომ პერიოდებზე, მაშინ ისინი აისახება როგორც მიმდინარე, ისე შემდგომ შეფასებებში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის განსჯის საკითხი, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებს, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ფუნქციონირებს. ნებისმიერი ამ პირობების ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ამორტიზაციის კოეფიციენტების კორექტირება.

3. ანგარიშგების საკვანძო შეფასებები და დასკვნები (გაგრძელება)

საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საგარანტიო ანარიცხებს შესაბამისი შემოსავლის აღრიცხვისას აღიარებს. კომპანია საგარანტიო ანარიცხების თანხების დარიცხვას ახორციელებს იმ თანხების ყველაზე ზუსტი შეფასების საფუძველზე, რომელიც საჭიროა მომავალი და არსებული საგარანტიო პრეტენზიების დასარეგულირებლად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყოველ თარიღისთვის გაყიდულ პროდუქციაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გადაუხდელობის ალბათობას. ამის შემდეგ ეს ალბათობა მრავლდება მოსალოდნელი ზარალის ოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის შედეგად, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალი მთლიანი ვადის განმავლობაში. ფინანსური აქტივების გაუფასურების გათვლებისას გამოყენებული დაშვებებსა და შეფასებებში მნიშვნელოვანმა და მოულოდნელმა ცვლილებებმა შეიძლება მოგვცეს არსებითი განსხვავება რეალურ შედეგებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი შედეგებს შორის.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (IBR) და იჯარის გადასახდელები

იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ვადა, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას, იმ ვადასთან ერთად, რომლითაც დაშვებულია იჯარის გაგრძელება (მათ შორის, იჯარის განახლების შესაძლებლობა, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივ ბიზნეს პრაქტიკაში) თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის ვარაუდისთვის, რომ ვადა გაგრძელდება; ან ნებისმიერი სხვა ვადები, რომლის განმავლობაში დაშვებულია იჯარის შეწყვეტა, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის ვარაუდისთვის, რომ იჯარა არ შეწყდება. ხელმძღვანელობა იჯარის ვადის დასადგენად გადაწყვეტილებას იღებს განსჯის საფუძველზე, როდესაც საიჯარო ხელშეკრულებები ითვალისწინებს იჯარის განახლების იმგვარ ვარიანტებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მიერ. ის ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს იჯარის განახლების ვარიანტით სარგებლობისთვის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანიას შეუძლია გადააფასოს იჯარის ვადა, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებების ცვლილებას, რომელიც კომპანიის კონტროლს ექვემდებარება და რომელიც გავლენას ახდენს მის უნარზე, გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს) იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის შესაძლებლობა.

ხელმძღვანელობა IBR-ის შეფასებისას გადაწყვეტილებას იღებს განსჯის საფუძველზე. ხელმძღვანელობა საბაზისო განაკვეთისა და კონკრეტული მოიჯარისა და აქტივების ფაქტორების (გირაო) გათვალისწინებით კორექტირებების განსაზღვრისას ეყრდნობა თვალსაჩინო მონაცემებს.

საქართველოში იჯარის განახლების ვარიანტი ჩვეულებრივი ბიზნეს პრაქტიკის ჭრილში განიხილება და იჯარის განახლების ყველა ვარიანტის დაფიქსირება საიჯარო ხელშეკრულებებში არ ხდება. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასებისას იგულისხმება, რომ იჯარის გადასახადი განახლების პერიოდებისთვის ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობის ტოლია და უცვლელად შენარჩუნდება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია შემდეგი რისკების არსებობის პირობებში ფუნქციონირებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი

ყველა სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის პირობებში ფუნქციონირებს. ეს შენიშვნა აღწერს აღნიშნული რისკების მართვის კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას და პროცესებს, აგრეთვე ამ რისკების გაზომვის მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოშობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკს:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები
- საიჯარო ვალდებულებები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახით:

	31.12.2024	31. 12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,080,720	1,556,631
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1,200,869	1,640,506
	3,281,589	**3,197,137**
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	2,167,879	2,442,380
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	2,283,684	1,627,555
	4,451,563	**4,069,935**

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის რისკებს ხელმძღვანელობის ძირითადი რგოლი მართავს. ხელმძღვანელობის ძირითადი რგოლი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე, ამასთანავე, ინარჩუნებს რა საერთო პასუხისმგებლობას, მან კომპანიის ფინანსური განყოფილებას გადასცა უფლებამოსილება, განავითაროს და აწარმოოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებიც ამოწმებს განხორციელებული პროცესების ეფექტურობას და მათ შესაბამისობას მიზნებსა და პოლიტიკასთან. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია რისკის მინიმუმამდე დაყვანისკენ, კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. დამატებითი ინფორმაცია ამ პოლიტიკის შესახებ მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიისთვის უპირველეს საკრედიტო რისკები უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს და ნაღდ ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს (გარდა სალაროში არსებული ფულადი სახსრებისა).

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თითოეული კლიენტი ინდივიდუალურად ფასდება კრედიტუნარიანობის თვალსაზრისით, სანამ მას შესთავაზებენ კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობებს. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და, ზოგიერთ შემთხვევაში, ბანკის რეკომენდაციებს.

კლიენტების საკრედიტო რისკის მონიტორინგისას კლიენტები ჯგუფდებიან ვადაგადაცილებული ვალის სტატუსის მიხედვით, მათ შორის იმის მიხედვით, წარმოადგენენ ისინი ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, არიან საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლები, მათი გეოგრაფიული მდებარეობის, დარგის, კრედიტის დაფარვის ვადებისა და წინა ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია ქმნის გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალის შეფასებას. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია ზარალის ცალკეული კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკებთან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური მგრძნობიარობა ანგარიშგების ვადისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,080,720	1,556,631
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები, სალაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით	1,186,592	1,608,632
	3,267,312	**3,165,263**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროცენტიანი, გაყიდვადი და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი), სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი) ან სხვა საბაზრო ფაქტორების (სხვა ფასთან დაკავშირებული რისკი) ცვლილების გამო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი მნიშვნელობით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან აქტივებთან, ვალდებულებებთან, ცვლადი განაკვეთის გამო. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან მას არ გააჩნია პროცენტიანი ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. გაბატონებული ვალუტის კურსების რყევები გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კომპანიის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ლარში წარმოდგენილია ქვემოთ:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.9306 ლარი	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,247,107	-	-	**2,247,107**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1,179,509	19,152	2,208	**1,200,869**
სულ	**3,426,616**	**19,152**	**2,208**	**3,447,976**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	130,793	61,552	2,015,163	**2,207,508**
საიჯარო ვალდებულებები	644,776	1,523,103	-	**2,167,879**
სულ	**775,569**	**1,584,655,**	**2,015,163**	**4,375,387**
სულ ნეტო რისკის სიდიდე	**2,651,047**	**(1,565,503)**	**(2,012,955)**	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.9753 ლარი	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,765,140	20	-	1,765,161
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	1,630,435	2,220	7,851	1,640,506
სულ	**3,395,575**	**2,240**	**7,851**	**3,405,667**
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	94,545	5,177	1,461,238	**1,560,960**
საიჯარო ვალდებულებები	382,384	2,059,996	-	**2,442,380**
სულ	**476,929**	**2,065,173,**	**1,461,238**	**4,003,340**
სულ ნეტო რისკის სიდიდე	**2,918,646**	**(2,062,933)**	**(1,453,387)**	

მგრძნობელობა სავალუტო რისკის მიმართ

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს 20%-ით მატება-კლების მიმართ ლართან მიმართებაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება წამყვანი ხელმძღვანელი რგოლის წინაშე სავალუტო რისკების შიდა ანგარიშგებისას და წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გადაუხდელ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილების გათვალისწინებით.

2024	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	313,101	(313,101)	402,591	(402,591)
2023	**ლარი/აშშ დოლარი + 20%**	**ლარი/დოლარი - 20%**	**ლარი/ევრო +20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი)	412,587	(412,587)	290,677	(290,677)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს სესხებისა და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დადგომის დროს საკმარისი თანხების არსებობას.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისთვის, გადახდების შეთანხმებული პერიოდებით, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, უადრესი თარიღის მიხედვით, როდესაც კომპანიას შეიძლება დაუდგეს გადახდის ვადა. ცხრილები მოიცავს როგორც საპროცენტო, ასევე ძირი თანხების ფულად ნაკადებს. იმის გამო, რომ საპროცენტო ფულადი ნაკადებს მცურავი კურსი აქვს, არადისკონტირებული თანხა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთის მრუდების საფუძველზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა შეიძლება გამოისახოს შემდეგი ცხრილით:

31.12.2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	**1,186,592**	-	**1,186,592**
სავაჭრო მოთხოვნები	**2,080,720**	-	**2,080,720**
სულ ფინანსური აქტივები	**3,267,312**	**-**	**3,267,312**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	889,469	1,278,410	2,167,879
მთლიანი პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	**889,469**	**1,278,410**	**2,167,879**
სავაჭრო მოთხოვნები	2,283,684	-	2,283,684
სრული ფინანსური ვალდებულებები	3,173,153	**1,278,410**	**4,451,563**
ლიკვიდური საშუალებების დეფიციტი	94,159	(1,278,410)	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**94,159**	**(1,184,251)**	
პროცენტის ცვალებადობის მიმართ მგრძნობელობის დეფიციტი	889,469	1,278,410	
პროცენტის ცვალებადობის მიმართ მგრძნობელობის კუმულაციური დეფიციტი	**889,469**	**2,167,879**	

31.12.2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	**1,608,632**	-	**1,608,632**
სავაჭრო მოთხოვნები	**1,556,631**	-	**1,556,631**
სულ ფინანსური აქტივები	**3,165,263**	**-**	**3,165,263**
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	783,156	1,659,224	2,442,380
მთლიანი პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	**783,156**	**1,659,224**	**2,442,380**
სავაჭრო მოთხოვნები	1,627,555	-	1,627,555
სრული ფინანსური ვალდებულებები	**2,410,711**	**1,659,224**	**4,069,935**
ლიკვიდური საშუალებების დეფიციტი	754,552	(1,659,224)	
კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი	**754,552**	**(904,672)**	
პროცენტის ცვალებადობის მიმართ მგრძნობელობის დეფიციტი	783,156	1,659,224	
პროცენტის ცვალებადობის მიმართ მგრძნობელობის კუმულაციური დეფიციტი	**783,156**	**2,442,380**	

სამართლიანი ღირებულების გაზომვა

ფასს 7 მოითხოვს გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს სამართლიანი ფასის იერარქიის მეთოდით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის გამოყენებას, რომელიც ასახავს სამართლიანი ღირებულების გაზომვისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.
სამართლიანი ფასის იერარქიას შემდეგი დონეები აქვს:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- **დონე 1:** მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) იდენტურაქტივებსა ან ვალდებულებებზე;
- **დონე 2:** აქტივებთან ან ვალდებულებთან დაკავშირებული სხვა მონაცემები, გარდა შეთავაზებული ფასებისა, რომლებზეც დაკვირვება შესაძლებელია პირდაპირ (ე.ი. ფასები) ან არაპირდაპირ (ე.წ. ფასებიდან გამომიდინარე);
- **დონე 3:** აქტივებთან ან ვალდებულებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე დაკვირვებად მონაცემებს (მონაცემები, რომლებიც დაკვირვებას არ ექვემდებარება).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაყვანი მონაცემის საფუძველზე, რომელიც არსებითია რეალური ღირებულების შეფასებისთვის. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ზოგადად უნდა მივაკუთვნოთ სამი დონიდან მხოლოდ ერთს. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ იქნება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა მოხდება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში შეფასების თარიღში. სამართლიანი ღირებულების დამადასტურებელი საუკეთესო ინდიკატორია მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში. აქტიურ ბაზარზე წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და კომპანიის მფლობელობაში არსებული აქტივის ან ვალდებულების რაოდენობის გათვალისწინებით.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები და საოჯარო ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. რეალური ღირებულებები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 და მე-2 დონეზე შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკის გამოყენებით. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც მოსალოდნელია მიღებული დისკონტირებული ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, მსგავსი საკრედიტო რისკით და დარჩენილი ვადიანობით. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში რეალური ღირებულებით არ შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების მე-3 და 2 დონის შეფასების ტექნიკაში ცვლილებები არ მომხდარა. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები შეფასებულია დონე 1-ის საფუძველზე

კაპიტალთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროება

კაპიტალის შენარჩუნებისას კომპანიას შემდეგი მიზნები ამოძრავებს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარი, განაგრძოს უწყვეტი საქმიანობა უახლოეს მომავალში, იმგვარად, რომ გააგრძელოს აქციონერებისთვის მოგების გამომუშავება; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი აქციონერებისთვის მომსახურებაზე რისკის ხარისხის შესაბამისი ფასების დაწესებით. კომპანია მისთვის საჭირო კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად განსაზღვრავს. კომპანია საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის მართვისას და მასში ცვლილებების შეტანისას ხელმძღვანელობს ეკონომიკური პირობებისა და საბაზისო აქტივების რისკების მაჩვენებლებით.

5. შემოსავლები

	საქონლის/მომსახურების გადაცემის ვადები	2024	2023
პროფესიონალური მანქანები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	4,472,314	3,972,331
სათადარიგო ნაწილები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	1,525,512	1,583,711
სარეცხი საშუალებები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	260,762	200,441
სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი			
მანქანები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	10,672,563	8,081,373
სათადარიგო ნაწილები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	1,389,636	801,568
სარეცხი საშუალებები	დროის კონკრეტული მომენტისთვის	64,579	54,476
მომსახურება	დროის კონკრეტული მომენტისთვის	661,968	70,694
		19,047,334	**14,764,594**

6. გაყიდვების ხარჯი

	2024	2023
პროფესიონალური მანქანები	(2,171,867)	(1,957,370)
სათადარიგო ნაწილები	(659,363)	(734,734)
სარეცხი საშუალებები	(113,271)	(109,615)
სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი მანქანები		
	(6,203,233)	(4,972,112)
სათადარიგო ნაწილები	(642,190)	(370,177)
სარეცხი საშუალებები	(25,771)	(22,780)
მომსახურება	(411,752)	(37,653)
	(10,227,447)	**(8,204,441)**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალის ხარჯი	(1,275,035)	(894,560)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(339,427)	(239,313)
IT მხარდაჭერის მომსახურება	(204,048)	(164,882)
მივლინება	(195,737)	(138,035)
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(149,048)	(131,596)
საბანკო გადასახადები	(148,851)	(130,914)
საოფისე ხარჯები	(132,719)	(124,481)
ცვეთა და ამორტიზაცია	(118,448)	(124,173)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	(73,300)	(83,318)
საწვავის ხარჯი	(57,456)	(57,866)
საიჯარო ხარჯი	(31,219)	(50,668)
ქონების დაზღვევა	(29,788)	(42,295)
კომუნალური ხარჯები	(11,341)	(13,101)
დაცვის ხარჯი	(9,231)	(6,298)
კომუნიკაციის ხარჯი	(7,787)	(5,514)
სხვა ხარჯი	(322,337)	(253,487)
	(3,105,772)	**(2,460,501)**

8. კომერციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალის ხარჯი	(1,860,924)	(1,606,741)
მარკეტინგის ხარჯი	(1,228,572)	(648,009)
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(670,756)	(541,517)
საწყობის მომსახურების ხარჯი	(362,202)	(296,121)
ცვეთა და ამორტიზაცია	(257,887)	(211,441)
სატრანსპორტო ხარჯები	(67,771)	(81,540)
სხვა ხარჯი	(47,536)	(177,493)
	(4,495,648)	(3,562,862)

9. უცხოურ ვალუტაში მოგება/ზარალი, სუფთა

	2024	2023
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(46,645)	2,032
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(72,734)	(130,203)
	(119,379)	**(128,171)**

10. ქონება და აღჭურვილობა

ისტორიული ღირებულება	**სატრანსპორტო საშუალებები**	**საიჯარო პირობებში ცვლილების ეფექტი**	**საოფისე მოწყობილობა, ავეჯი და სხვ.**	**სულ**
2022 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**586,667**	**225,840**	**559,430**	**1,371,937**
მატება	400,142	627,707	474,550	**1,502,399**
ლიკვიდაცია	(148,077)	-	(4,282)	**(152,359)**
2023 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**838,732**	**853,547**	**1,029,698**	**2,721,977**
მატება	107,991	264,523	226,902	**599,416**
ლიკვიდაცია	-	(2,288)	(105,557)	**(107,845)**
2024 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**946,723**	**1,115,782**	**1,151,043**	**3,213,548**
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**(305,075)**	**(101,560)**	**(283,945)**	**(690,580)**
საამორტიზაციო გადარიცხვები წლის განმავლობაში	(127,619)	(88,973)	(108,078)	**(324,670)**
ლიკვიდაცია	148,077	-	3,576	**151,653**
2023 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**(284,617)**	**(190,533)**	**(388,447)**	**(863,597)**
საამორტიზაციო გადარიცხვები წლის განმავლობაში	(118,413)	(143,546)	(59,977)	**(321,936)**
ლიკვიდაცია	-	2,288	103,171	**105,459**
2024 წლის 31დეკემბრის ბალანსი	**(403,030)**	**(331,791)**	**(345,253)**	**(1,080,074)**
სანაშთო საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	554,115	663,014	641,251	**1,858,380**
2024 წლის 31 დეკემბერს	543,693	783,991	805,790	**2,133,474**

2024 წლის 31 დეკემბრის და სრული 2023 წლის მდგომარეობით 155,040 და 363,214 ლარის ოდენობით ამორტიზებული აქტივები ჩართული იყო ძირითად საშუალებებში. კომპანია გეგმავს უახლოეს მომავალში ამ აქტივების შეცვლას.

11. იჯარები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ერთ საოფისე და სავაჭრო ფართი თბილისში, ბათუმში,ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში. ოფისისა და მაღაზიის ქირა ფიქსირებულია იჯარის ვადის განმავლობაში და დენომინირებულია აშშ დოლარში.

აქტივების გამოყენების უფლება	**შენობები**	**სულ**
2023 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	**2,345,793**	2,345,793
მატება	374,209	374,208
ამორტიზაცია	(789,204)	(789,203)
2024 წლის 31დეკემბრის ბალანსი	**1,930,798**	**1,930,798**

	შენობები	**სულ**
აქტივების გამოყენების უფლება		
2022 წლის 31 დეკემბრის ბალანსი	872,657	872,657
მატება	2,146,249	2,146,249
ამორტიზაცია	(673,113)	(673,113)
2023 წლის 31დეკემბრის ბალანსი	**2,345,793**	**2,345,793**

	შენობები	**სულ**
საიჯარო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს	2,442,380	2,442,380
მატება	374,209	374,208
საპროცენტო ხარჯი	201,591	201,591
ძირი თანხის გადახდა	(718,141)	(718,141)
გადახდილი პროცენტები	(201,591)	(201,590)
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	69,431	69,431
2024 წლის 31დეკემბერს	**2,167,879**	**2,167,879**

საიჯარო ვალდებულებები	**შენობები**	**სულ**
2022 წლის 31 დეკემბერს	**860,204**	**860,204**
მატება	2,146,247	2,146,247
საპროცენტო ხარჯი	137,878	137,878
ძირი თანხის გადახდა	(574,434)	(574,434)
გადახდილი პროცენტები	(137,878)	(137,878)
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	10,363	10,363
2023 წლის 31 დეკემბერს	**2,442,380**	**2,442,380**

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, საიჯარო ვალდებულებების ვადების მიხედვით ანალიზს შემდეგი სახე აქვს:

საიჯარო ვალდებულებები	**3 თვემდე**	**3-სა და 12 თვეს შორის**	**1-სა და 2 წელს შორის**	**2-სა და 5 წელს შორის**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
შენობა	235,294	654,175	544,320	734,090	-	2,167,879

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, საიჯარო ვალდებულებების ვადების მიხედვით ანალიზს შემდეგი სახე აქვს:

საიჯარო ვალდებულებები	3 თვემდე	3-სა და 12 თვეს შორის	1-სა და 2 წელს შორის	2-სა და 5 წელს შორის	5 წელზე მეტი	სულ
შენობა	175,229	607,927	798,550	860,674	-	2,442,380

12. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი		
მანქანები	1,370,376	807,216
სათადარიგო ნაწილები	310,925	340,293
სარეცხი საშუალებები	17,234	16,788
პროფესიონალური		
მანქანები	797,568	752,140
სათადარიგო ნაწილები	1,087,821	506,074
სარეცხი საშუალებები	133,683	44,613
სხვა	107,953	36,313
	3,825,560	2,503,437

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
საფინანსო მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ნდავალიანებები	2,247,107	1,765,161
ხარჯი: რეზერვი საეჭვო სესხებზე	(166,387)	(208,530)
	2,080,720	**1,556,631**
არასაფინანსო მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	154,582	54,400
ავანსად გადახდილი გადასახადები	369,128	105,973
	523,710	**160,373**
	2,604,430	**1,717,004**

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში ფინანსური აქტივების აღრიცხული ოდენობები თითქმის ზუსტად ემთხვევა მათ სამართლიან ღირებულებებს. კომპანიამ შეცვალა თავისი მიდგომა სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვირების მიმართ და რეზერვები კატეგორიზება მოახდინა ორი კრიტერიუმის მიხედვით: (1) ვადაგადაცილებული დავალიანება შეფასებული გადახდის პირობების მიხედვით; და (2) ძველი მოთხოვნები — შეფასებული დოკუმენტის თარიღის მიხედვით. საბუღალტრო შეფასების ცვლილების ეფექტი უმნიშვნელო იყო. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ვალუტების მიხედვით განაწილება წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვი მთელი პერიოდისთვის არის შემდეგი:

გადახდის პირობების საფუძველზე.	კომპანიის შიდა მოთხოვნები მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	31-60 დღიანი ვადაგადაცილება	61-90 დღიანი ვადაგადაცილება	91-120 დღიანი ვადაგადაცილება	120-ზე მეტი	სულ
მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი	0%	0%	25%	50%	75%	100%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	-	342,358	10,825	19,938	4,619	45,632	423,372
ზარალის რეზერვი	-	-	2,706	9,969	3,464	45,632	61,771

დოკუმენტის თარიღის საფუძველზე.	120 დღეზე ნაკლები	120 დღეზე მეტი	360 დღეზე მეტი	სულ
მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი	0%	25%	100%%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,604,263	153,141	66,331	1,823,735
ზარალის რეზერვი	-	38,285	66,331	104,616

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვი მთელი პერიოდისთვის არის შემდეგი:

	კომპანიის შიდა მოთხოვნები მიმდინარე	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	31-60 დღიანი ვადაგადაცილება	61-120 დღიანი ვადაგადაცილება	120 დღეზე მეტი	სულ
მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი	0%	2,3%	2,14%	3.2%	58.8%	60.1%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	-	742,953	551,449	185,261	70,206	215,292	1,765,161
ზარალის რეზერვი	-	17,088	11,801	5,928	41,281	132,432	208,530

ქვემოთ წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვში არსებული ცვლილებები:

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების საწყისი რეზერვი	**208,530**	**415,472**
ცვლილება წლის განმავლობაში	122,140	13,058
დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება წლის განმავლობაში, როგორც შეუგროვებელი	-	-
რეზერვის გამოუყენებელი თანხები	(164,283)	(220,000)
გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	**(42,143)**	**(206,942)**
31 დეკემბერს	**166,387**	**208,530**

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

	31.12.2024	31. 12.2023
ნაღდი ფული ბანკში ლარში	1,165,231	1,598,561
ნაღდი ფული ბანკში უცხოურ ვალუტებში	21,361	10,071
მცირე ანგარიშები	14,277	31,874
	1,200,869	**1,640,506**

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განაწილება ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები

	31.12.2024	31. 12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,207,508	1,598,561
სახელფასო მოთხოვნები	76,176	66,595
	2,283,684	1,627,555
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	674,890	305,805
სხვა	57,165	44,281
	732,055	350,086
	3,015,739	**1,977,641**

სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებში შემავალი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ სამართლიან ღირებულებასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი მოკლევადიანია. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ვალუტების მიხედვით განაწილება წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

16. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები და ვალის ნაშთი

კომპანიისა და მასთან დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციებისა და ნაშთის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის ფორმა	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		8,857	-
ნიკოლოზ ბათირაშვილი	დირექტორი	8,857	-
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები		(2,061,222)	(1,401,612)
Kärcher Beteiliguns GmbH	წილის მფლობელები	(1,999,748)	(1,451,612)
"Kärcher Global Services GmbH & Co." "KG“	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	(6,474)	-
ნიკოლოზ ბათირაშვილი	დირექტორი	(55,000)	50,000
ინვენტარის შეძენა		11,765,377	8,692,655
Kärcher Beteiliguns GmbH	წილის მფლობელები	11,765,377	8,523,000
"Karcher Municipal GmbH“	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	116,023
"Karcher Romania SRL“	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	52,893
"Karcher Slovenia“	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	739

საშემოსავლო ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის ფორმა	2024	2023
ადმინისტრაციული ხარჯები		**(281,644)**	**(271,902)**
Kärcher Beteiliguns GmbH	წილის მფლობელები	(281,644)	(271,902)
შემოსავალი		**3,266**	8,208
LLC Karcher AK-AM	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	3,266	8,208

წამყვანი ხელმძღვანელი რგოლის კომპენსაციები	2024	2023
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	**315,000**	**300,000**

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაცია და ცვლილება. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, საგადასახადო ორგანოები შეიძლება მოედავოს ტრანზაქციებს და შედეგად კომპანიას დაეკისროს დამატებით გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ წარმოშობს დამატებით ვალდებულებებს გარდა უკვე რეგისტრირებულისა და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებისთვის ხელმისაწვდომი რჩება სამი წლის განმავლობაში.

სამართალწარმოება - 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არდამდგარი ზარალის წარმოშობა არ არის მოსალოდნელი და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუთვალისწინებელი ვალდებულებების რეზერვი არ ყოფილა გათვალისწინებული.

17. გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გაგრძელება)

ბიზნეს გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, უფრო მეტად მოწყვლადია რისკების მიმართ, ვიდრე შედარებით უფრო განვითარებულ ბაზრები, ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება და საგადასახადო და სამართლებრივი ნორმატიული ბაზა განსხვავებული ინტერპრეტაციების საფუძველს იძლევა. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიული, ნორმატიულ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგენო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

19. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იქნა გამოყენებული. ეს პრინციპები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია მუშაობს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და კომპანიის სააღრიცხვო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი.

კომპანიის მიერ სხვა ვალუტაში შესრულებული ტრანზაქციები, გარდა ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტისა, რომელშიც ისინი მუშაობენ (მათი „ფუნქციური ვალუტა“) აღრიცხულია ტრანზაქციის დროს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. კურსთაშორისი სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ვადაგადაცილებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების რეკონვერტაციისა და ოპერაციების ანგარიშსწორების შედეგად, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში. წლის ბოლო განაკვეთით კონვერტაცია არ გამოიყენება არაფულადი მუხლების მიმართ.

ქვემოთ მოცემულია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს, წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნა უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	*ევრო*
2024 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრის გაცვლითი კურსი	2.6894	2.9753

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესრულების ვალდებულებები და ამონაგების აღიარების ვადები

კომპანიის ამონაგების უმეტესი ნაწილი მიიღება საქონლის რეალიზაციიდან, რომლის ამონაგების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის მყიდველზე. როგორც წესი, ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც საქონელი მიეწოდება მყიდველს. კონტროლის გადაცემა მოხდება: მას შემდეგ რაც პროდუქცია ფიზიკურად იქნება მიწოდებული შეთანხმებულ ადგილას, კომპანია აღარ ფლობს საქონელს ფიზიკურად, როგორც წესი, აქვს ანაზღაურების მიღების მიმდინარე უფლება და არ ინარჩუნებს მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს აღნიშნულ საქონელთან მიმართებაში.

19. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის მიერ გაყიდული ზოგიერთი საქონელზე ვრცელდება გარანტია, რომლის თანახმად, კომპანია შეცვლის ან შეაკეთებს დეფექტურ პროდუქტს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, თუ პროდუქტი არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. ფასს 15-ის მიხედვით, ასეთი გარანტიები არ ჩაითვლება შესრულების ცალკეული ვალდებულებებად და, შესაბამისად, მათზე ამონაგები არ გამოიყოფა. ამის ნაცვლად, გარანტიების დაკმაყოფილების ხარჯების დასაფარად იქმნება ანარიცხი IAS 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების“ შესაბამისად.

ტრანზაქციის ფასის დადგენა

კომპანიის ამონაგების უმეტესი ნაწილი მოდის ფიქსირებული ფასის კონტრაქტებზე და, შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მიღებული ამონაგების ოდენობა ეფუძნება ამ ფიქსირებულ ფასებს.

თანხების განაწილება შესრულების ვალდებულებებზე

კონტრაქტების უმეტესობაში, თითოეული გაყიდული პროდუქტისთვის დადგენილია ფიქსირებული ფასი, კონკრეტულ პერიოდებში საბითუმო შეკვეთებზე ფასდაკლებების შეთავაზებით. ამდენად, ასეთ კონტრაქტებით შეკვეთილ თითოეულ შეკვეთილ ერთეულზე საკონტრაქტო ფასის განსაზღვრა არ არის საჭირო (ეს არის კონტრაქტის მთლიანი ფასი გაყოფილი შეკვეთილი ერთეულების რაოდენობაზე).

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება საბალანსო ღირებულებაზე და მიზნად ისახავს აქტივების ჩამოწერას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთებით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ქონება და აღჭურვილობა	
სატრანსპორტო საშუალებები	5-7
ოფისის მოწყობილობები, ავეჯი და სხვა	5-10
საიჯარო პირობებში ცვლილების ეფექტი	5-8
არამატერიალური აქტივები	
პროგრამული უზრუნველყოფა	5-7

მიმდინარე და რემონტის ხარჯები აისახება კონსოლიდირებული მოგების ანგარიშგებაში, როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი, მათი წარმოშობის დროს, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის მოთხოვნებს. ქონებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგებისას, რათა შეფასდეს, არის თუ არა ისინი აღრიცხული მათი ანაზღაურებადი თანხების გადაჭარბებით.

მარაგები

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ და ყველა სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), ასევე სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, სხვა იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

გადაყიდვის მიზნით საქონლის მოძრაობა აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

19. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი იყო საკმარისი კომპანიის ფინანსური აქტივებისთვის და ისინი შეაფასა როგორც „ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით“. ფინანსური აქტივები წარმოიქმნება ძირითადად მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის მიზანია აღნიშნული აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და მასზე დარიცხულ პროცენტის გადახდებს. მათი აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მათ შეძენას ან გამოშვებას და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, მოიცავს სხვა მოთხოვნებს, ნაღდი ფულის და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ყველა საბანკო დეპოზიტს ან დებიტორულ დავალიანებას, რომელთა თავდაპირველი ვადა არ არის სამ თვეზე ნაკლები.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მიდგომის თანახმად, საკრედიტო ზარალი იანგარიშება მიგრაციის მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომის მიხედვით, ზარალის აღიარება ხდება მთელ პორტფელზე, მიუხედავად საკრედიტო რისკის რაიმე მნიშვნელოვანი ზრდისა საწყისი აღიარების შემდეგ. მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტი ეფუძნება კომპანიის ისტორიულ საკრედიტო ზარალებს, რომელიც წარმოიშვა საანგარიშო პერიოდის წინა სამი წლის განმავლობაში. განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 გამონაკლისები და არ გამოიყენა ფინანსური აქტივების მომავალი პირობების პროგნოზები. ამრიგად, ისტორიული ზარალი არ არის კორექტირებული კომპანიის კლიენტებზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების შესახებ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია თავის ფინანსურ ვალდებულებებს ყოფს ორ კატეგორიად, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით იქნა შეძენილი ვალდებულება: „ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. კომპანიამ ყველა თავისი ფინანსური ვალდებულება მოაქცია „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ მუხლებს: სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები და სხვა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებები, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარები

ყველა იჯარა უნდა აღირიცხოს გამოყენების უფლების აქტივისა და საიჯარო ვალდებულების აღიარებით, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.
-

საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის, საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება საიჯარო ვალდებულებების ღირებულებით, ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით და მას ემატება:

- საიჯარო გადახდები, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეული თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯები; და
- დანახარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული საიჯარო აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის ან აღდგენისთვის.

19. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასების შემდეგ, საიჯარო ვალდებულება იზრდება დავალიანების ბალანსზე მუდმივი პროცენტის დარიცხვის შედეგად და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდების ოდენობით. აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა ხდება წრფივი მეთოდით იჯარის დარჩენილი ვადის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი სასარგებლო ვადის განმავლობაში, თუ იშვიათ შემთხვევებში იგი ჩაითვლება იჯარის ვადაზე მოკლედ. კომპანიის მიერ ნებისმიერი იჯარის ვადის ხელახალი შეფასებისას (იმის გამო, რომ მაგალითად, კომპანია ახდენს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის შესაძლებლობის გამოყენების გადაფასებას), ის აკორექტირებს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, იმისთვის, რომ ასახოს გადასინჯული ვადის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო გადასახადები, რომელთა დისკონტირება ხდება საიჯარო პერიოდის დასაწყისისთვის განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთით. ანალოგიურად გადაისინჯება საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, როდესაც ხდება განაკვეთზე ან ინდექსზე დამოკიდებული მომავალი საიჯარო გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა. ორივე შემთხვევაში, ეკვივალენტურად კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება, სადაც შესწორებული საბალანსო ღირებულება ამორტიზებულია იჯარის დარჩენილი (განახლებული) ვადის განმავლობაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (საწესდებო კაპიტალის, საკუთრების ფორმის ცვლილება და ა.შ.) შეიძლება მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საწესდებო კაპიტალად, როგორც კომპანიის კაპიტალის ნაწილი, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ის შეტანილია მფლობელების მიერ კომპანიაში. საწესდებო კაპიტალი აღიარება ხდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2024 და 2023 წლების ფინანსური პერიოდებისთვის საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის არ არსებობს სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული გადასახადი ან ვალდებულებები.

კომპანიამ აღიარა გადასახადები, გარდა მოგებიდან გადასახადისა, როდესაც მავალდებულებელი მოვლენა დადგა. მავალდებულებელი მოვლენები არის მოვლენები, რომლებიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ავანსად გადახდილი გადასახადები, საიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი, აღიარებულია აქტივებად.

მმართველობითი ანგარიშგება

1. Karcher LLC-ის შესახებ

შპს კერხერი (Kärcher LLC) დარეგისტრირდა 2015 წლის 5 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სამართლებრივი ფორმა განისაზღვრა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) საიდენტიფიკაციო ნომრით 404488826.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N167.

მმართველ ორგანო მოიცავს საერთო კრებასა და აღმასრულებელ დირექტორს.

ხელმძვანელი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები: ნიკოლოზ ბათირაშვილი, 23001002754, ინდივიდუალური წარმომადგენლობა.

მფლობელი: 100% Karcher GmbH, HRB 261825 /გერმანია/

კომპანიის ძირითადი აქტივობა: კოდი: 46431 საყოფაცხოვრებო ელექტრო ხელსაწყოებისა და მოწყობილობების საბითუმო ვაჭრობა.

Karcher LLC საქართველოში ანგარიშგებას აწარმოებს ფასს-ის მიხედვით და ანგარიშგების ვალუტა არის ლარი (GEL).

მმართველობის ჩარჩო

ეფექტური კორპორატიული მმართველობა არის Kärcher-ის წარმატებით საქმიანობის ძირითადი საფუძველი გლობალურ ბიზნესგარემოში.

Karcher LLC-ს დირექტორთა საბჭო ერთგულია კორპორატიული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების, რომლებიც, მათი რწმენით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიზნესის მთლიანობისა და შედეგიანობისთვის, ასევე მაღალი კონკურენციის პირობებში ნდობის შესანარჩუნებლად.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კორპორატიული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების დაცვა, კომპანია საქმიანობს მმართველობის ჩარჩოს ფარგლებში.


პასუხისმგებლობის ჩარჩო

ჩვენ შევქმენით ჩარჩო, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს მმართველობისა და პასუხისმგებლობის ჯანსაღი მიდგომის ყველა ელემენტს. მმართველობითი ჯგუფი, რომელიც შედგება მეორე დონის მენეჯერებისგან და რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, იყენებს ამ ჩარჩოს მმართველობისა და პასუხისმგებლობის მიზნების დასახვისა და მონიტორინგისთვის, გაუმჯობესების შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქმიანობა შეესაბამებოდეს ბიზნეს სტრატეგიას. ამ ჩარჩოს მეშვეობით ჩვენ ვაძლევთ გარანტიას ჩვენი საბჭოს ყველა წევრს, რომ Karcher LLC არის კარგად მართული, პასუხისმგებლიანი კომპანია.



1. **Karcher LLC-ის შესახებ (გაგრძელება)**

ჩვენი კერხერის ღირებულებათა წრე



ნდობა ჩვენი საფუძველია. ეს ნიშნავს მტკიცე ურთიერთობების ამენებას ურთიერთპატივისცემის, საიმედოობისა და გამჭვირვალობის მეშვეობით. ჩვენ ვენდობით ჩვენს კოლეგებსა და ხელმძღვანელ გუნდს.

ცნობისმოყვარეობა ჩვენი შემოქმედებითი ნაპერწკალია. ის ამოძრავებს ჩვენს სწავლისა და ინოვაციების სურვილს და არის არსებითი თვისება, რომელსაც სრულად ვიღებთ. ჩვენთვის, ეს ნიშნავს იყო ღია, გქონდეს დადებითი დამოკიდებულება სიახლისა და განსხვავებულის მიმართ, გადალახო საზღვრები და გამოიკვლიო ახალი ტერიტორიები.

გამბედაობა ჩვენი დამოკიდებულებაა. ის საშუალებას გვაძლევს, გვჯეროდეს ჩვენი ძალის, რომ რაღაც შევცვალოთ. ის გვაძლევს შთაგონებას, რომ მივიღოთ ცვლილებები და ვცადოთ ახალი რაღაცები, თუნდაც ჩვენი კომფორტის ზონის გარეთ.

პასუხისმგებლობა ჩვენი ხერხემალია. ჩვენ ვფლობთ ჩვენს ამოცანებს, მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვიქცევით კეთილსინდისიერად და ვიცავთ ეთიკურ სტანდარტებს ჩვენი ბიზნესის ყველა ასპექტში.

ვნება ჩვენი მამოძრავებელი ენერგიაა. სწორედ ძალითა და შეუპოვრობით ვეხებით ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ. ჩვენთვის ვნება ნიშნავს იმისადმი ეთუზიაზმით განწყობას, რასაც ვაკეთებთ და სხვების შთაგონებას ამ გზაზე.


2. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023
წლის მთლიანი სრული მოგება	1,045,708	540,872

კომპანიის მთლიანმა სრულმა მოგებამ 504,836 ლარით მოიმატა.


1. მოგებიანობის ანალიზი

საშუალო კაპიტალზე დაბრუნება 2024 წელს 17%-მდე გაიზარდა 2023 წლის 10%-დან, რაც კაპიტალის გაუმჯობესებულ ეფექტურობას ასახავს. ეს ზრდა მოჰყვა კაპიტალის დაბრუნების მნიშვნელოვან ზრდას 6.2 მილიონ ლარამდე 5.4 მილიონი ლარიდან.



2. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კაპიტალის უკუგება (ROE) 2023 წლის 10%-დან 2024 წელს 16%-მდე გაიზარდა, რაც აქციონერთა ღირებულების უფრო ძლიერ ზრდაზე მიუთითებს.



აქტივების საშუალო უკუგება (ROAA) გაუმჯობესდა და 2023 წლის 7%-დან 2024 წელს 10%-მდე გაიზარდა, რაც აქტივების უკეთესად გამოყენებაზე მიუთითებს.


2. ლიკვიდურობა და საბრუნავი კაპიტალი

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023 წლის 2.12-დან 2024 წელს 1.95-მდე შემცირდა, რაც მიუთითებს ლიკვიდურობის გამკაცრებაზე, თუმცა მაჩვენებელი კვლავ მართვად დიაპაზონშია.

მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი (დღეებში) 2023 წლის 111 დღიდან 2024 წელს 137 დღემდე გაიზარდა, რაც მარაგის შენელებულ ბრუნვაზე მიანიშნებს და შესაძლოა მიწოდების ჯაჭვის მართვის ოპტიმიზაციას საჭიროებდეს.

3. ხარჯთეფექტურობა და შემოსავლების ზრდა

მთლიანმა შემოსავალმა მნიშვნელოვნად, 29%-ით მოიმატა (2023 წელს 14.76 მილიონიდან 2024 წელს 19.05 მილიონამდე), რაც ბიზნესის ძლიერ გაფართოებაზე მიუთითებს.



ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა ოდნავ გაუმჯობესდა და 2024 წელს 93%-ს მიაღწია 2023 წლის 95%-დან, რაც მიუთითებს ხარჯების უკეთეს კონტროლზე, მიუხედავად აბსოლუტური ხარჯების ზრდისა.

იხილეთ სხვა ფინანსური მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებებში.

3. ძირითადი რისკები და ბუნდოვანებები

3.1. რისკის აღწერა

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური ფაქტორები და განვითარებები მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ეკონომიკურმა არამდგრადობამ, მარეგულირებელმა ცვლილებებმა და გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა ამ ქვეყნებში შეიძლება ირიბად იმოქმედოს ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის შპს კერხერ ჯორჯია (Kärcher LLC Georgia)-ზე.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ამას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა გლობალურ ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ვაჭრობის შეფერხებების, მიწოდების ჯაჭვის შეზღუდვებისა და ფინანსური ტრანზაქციების შეზღუდვების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ Kärcher LLC Georgia არ ახორციელებს საქონლის იმპორტს რუსეთიდან ან უკრაინიდან, გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა და ინფლაციური ზეწოლა, რომელიც ამ მოვლენებმა გამოიწვია, გავლენას ახდენს ლოჯისტიკურ ხარჯებზე, სავალუტო კურსებსა და საერთო ბიზნეს ოპერაციებზე.

რისკების შემცირება

კომპანია მთელ მარაგს გერმანიიდან იღებს, რაც უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის სტაბილურ ფუნქციონირებას. თუმცაღა, ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯები, ევრო/ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა და საერთაშორისო გადაზიდვების შესაძლო შეფერხებები კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება. კომპანია გამუდმებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას და შესაბამისად არეგულირებს ფასწარმოქმნისა და შესყიდვების სტრატეგიებს ამ რისკების შესამცირებლად.

ფასების ცვალებადობა

ვინაიდან Kärcher LLC Georgia იმპორტზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები პირდაპირ გავლენას ახდენს შესყიდვის ხარჯებზე. ევრო/ლარის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს ფასების კორექტირება საბოლოო მომხმარებლებისთვის, რაც პოტენციურად იმოქმედებს მოთხოვნასა და გაყიდვების მაჩვენებლებზე. ევროპაში ინფლაციური ტენდენციები და ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯები კიდევ უფრო უწყობს ხელს ფასებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

3.2 ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური რისკები მოიცავს:

ბაზრის რისკი – ცვლილებები ეკონომიკურ პირობებში, ინფლაცია და გაცვლითი კურსის მერყეობა შესაძლოა გავლენას ახდენდეს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაფინანსების ხარჯებსა და მთლიან მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი – კომპანია ძირითადად ახორციელებს ტრანზაქციებს ევროსა და ლარში, რაც მას ვალუტის რყევებისადმი მგრძნობიარეს ხდის.

საკრედიტო რისკი კომპანია ექვემდებარება კლიენტების ან ბიზნეს პარტნიორების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი – ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა აუცილებელია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესრულებისა და ოპერაციების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი რისკები და ბუნდოვანებები (გაგრძელება)

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს განყოფილება ასახავს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას, შერბილების სტრატეგიებსა და რისკების შეფასების მეთოდოლოგიებს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. კვლევა და ახალი პროდუქტის შემუშავება

კომპანიის ზრდის სტრატეგიის შესაბამისად, Kärcher Georgia-მ 2023 და 2024 წლებში განაგრძო გაფართოება და გააძლიერა თავისი წარმომადგენლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2023 წელს, ახალი ფილიალი გაიხსნა ზუგდიდში. ამ წარმატების შემდეგ, 2024 წელს, Kärcher Georgia კიდევ უფრო გაფართოვდა თელავში ახალი ფილიალის დაარსებით.

გეოგრაფიული გაფართოების გარდა, კომპანია ერთგული რჩება ინოვაციებისადმი და მუდმივად ნერგავს მოწინავე დასუფთავების ტექნოლოგიებს და აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. Kärcher Georgia აქტიურად იკვლევს ბაზრის მოთხოვნებს, რათა ადგილობრივ ბაზარზე შემოიტანოს დასუფთავების უახლესი გლობალური გადაწყვეტილებები, რაც უზრუნველყოფს ეფექტურობასა და მდგრადობას როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო დასუფთავების გამოყენებებში.

5. სტრატეგია და სამომავლო განვითარება

Kärcher Georgia-ს აქვს კარგად განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გაყიდვების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას. ეს ზრდა მიღწეული იქნება არსებული პროდუქტების ბაზრის ზუსტი პოზიციონირებით და ახალი პროდუქციის ხაზების დანერგვით. პროდუქციის კატეგორიებში, სადაც კომპანიას უკვე უკავია ბაზრის ძლიერი წილი, როგორიცაა საყოფაცხოვრებო დასუფთავების მოწყობილობები (მაღალი წნევის აპარატები, მტვერსასრუტები და იატაკის მოვლის მანქანები), აქცენტი გაკეთდება მისი ლიდერის პოზიციის შენარჩუნებაზე. ამასთან, Kärcher Georgia გეგმავს გააფართოვოს თავისი წარმომადგენლობა სამრეწველო და კომერციული დასუფთავების სექტორებში.

ენერგოეფექტური და მაღალი ხარისხის დასუფთავების გადაწყვეტილებებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, კომპანია კვლავ ერთგული რჩება იმის მიმართ, რომ თავის მომხმარებელს შესთავაზოს მხოლოდ სერტიფიცირებული და მაღალი სტანდარტის პროდუქცია. Kärcher Georgia მუდმივად ერგება გლობალურ ტენდენციებს და უზრუნველყოფს, რომ მისი პროდუქციის პორტფელი აკმაყოფილებდეს გარემოსდაცვით და ეფექტურობის უახლეს სტანდარტებს.

ძლიერი ფინანსური მდგომარეობა კომპანიას აძლევს საშუალებას ეფექტურად შეასრულოს თავისი ვალდებულებები მომწოდებლისა და სხვა მესამე მხარეთა მიმართ. Kärcher Georgia სტრატეგიულ მომწოდებლებთან თანამშრომლობით, ყოველთვიურად და ყოველწლიურად შეიმუშავებს და ახორციელებს გრძელვადიან გეგმებს, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტ ზრდას და ოპერაციულ ეფექტურობას.


6. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

Karcher LLC-ს საანგარიშო წლისთვის საქართველოში აქვს 7 ფილიალი 5 რეგიონში.

1. სათავო ოფისი და შოურუმი ა. ბელიაშვილის ქ.#167, თბილისი
2. სერვის ცენტრი ა.ბელიაშვილის ქ. #53-ში, თბილისი.
3. კერხერ ცენტრი ვ.ფშაველას გამზირი #4, თბილისი
4. კერხერ ცენტრი ალაზნის ველი #71, თელავი
5. კერხერ ცენტრი შ. რუსთაველის გამზ.#96, ქუთაისი

6. ინფორმაცია ფილიალების შესახებ (გაგრძელება)

6. კერხერ ცენტრი აღმაშენებლის ქ.#6, ზუგდიდი
7. კერხერ ცენტრი პ. ბაგრატიონის #129, ბათუმი



7. საკუთარი აქციების შესყიდვა

ეს განყოფილება კომპანიისთვის რელევანტური არ არის.

8. დასაქმება

თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე და დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია.

თანამშრომლის კომპენსაცია შედგება ფიქსირებული ხელფასისგან, რომელიც განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით და შესრულებაზე დაფუძნებული ბონუსისგან. კომპანია ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას უწყვეტი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით.

თანამშრომელთა რაოდენობა 2024 და 2023 წლის მონაცემებით:

2024		2023
მამაკაცი	41	38
ქალი	20	15
სულ	**61**	**53**

9. ანტიკორუფციული და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

ჩვენ მზად ვართ, ბიზნესი ერთგულად ვაწარმოოთ უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და არ დავუშვებთ კორუფციას ან მექრთამეობას. ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომხმარებლები, მომწოდებლები და ყველა სხვა დაკავშირებული პარტნიორი დაიცავენ ჩვენს პოლიტიკას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

ქრისტინე ანთაძე (ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი) /ახლავს ხელმოწერა/

ნიკოლოზ ბათირაშვილი (აღმასრულებელი დირექტორი) /ახლავს ხელმოწერა/

8. დასაქმება

თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე და დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია.

თანამშრომლის კომპენსაცია შედგება ფიქსირებული ხელფასისგან, რომელიც განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით და შესრულებაზე დაფუძნებული ბონუსისგან. კომპანია ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიულ ზრდას უწყვეტი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობით.

2024 და 2023-ს მიხედვით თანამშრომელთა რიცხვი:

	2024	2023
მამაკაცი	41	38
ქალი	20	15
სულ	**61**	**53**

9. ანტიკორუფციული და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

ჩვენ მზად ვართ, ბიზნესი ერთგულად ვაწარმოოთ უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და არ დავუშვებთ კორუფციას ან მექრთამეობას. ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომხმარებლები, მომწოდებლები და ყველა სხვა დაკავშირებული პარტნიორი დაიცავენ ჩვენს პოლიტიკას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

ქრისტინე ანთაძე (ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი) /ახლავს ხელმოწერა/

ნიკოლოზ ბათირაშვილი (აღმასრულებელი დირექტორი) /ახლავს ხელმოწერა/